



2026 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის იანვარ-თებერვლის
შესრულების

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2026
მარტი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 5,239.7 მლნ ლარი

67.5%

3 თვის
გეგმის

17.0%

წლიური
გეგმის

გადასახდელები - 5,032.7 მლნ ლარი

63.7%

3 თვის
გეგმის

16.3%



წლიური
გეგმის

ნაშთის ცვლილება
207.0 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო
276.1 მლნ ლარი

მთლიანი სალდო
-14.0 მლნ ლარი


შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა




სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები


„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 30,759.4 მლნ ლარის ოდენობით. 2026 წლის იანვარ-თებერვალში მიღებული შემოსულობები 5,239.7 მლნ ლარს (წლიური გეგმის 17.0%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 988.5 მლნ ლარით (23.3%-ით) აღემატება.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 30,881.4 მლნ ლარის ოდენობით. 2026 წლის იანვარ-თებერვალში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 5,032.7 მლნ ლარს (წლიური გეგმის 16.3%) შეადგენს, რაც 756.5 მლნ ლარით (17.7%-ით) მეტია წინა წლის 2 თვის მაჩვენებელთან შედარებით.

შემოსულობების 2 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)



გადასახდელების 2 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა^[1] განსაზღვრულია 7,757.1 მლნ ლარით, ხოლო 2 თვეში მიღებული შემოსულობები გეგმის 67.5%-ს შეადგენს. შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 3 თვის გეგმის შესრულების მხრივ, შემოსავლები 63.1%-იანი მობილიზების დონით ხასიათდება, ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლებით შემოსულობები მაღალი (შესაბამისად, 95.5%-იანი და 82.5%-იანი) მაჩვენებლებით გამოირჩევა, არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობების სახით კი 21.4%-ია მიღებული.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია 7,903.2 მლნ ლარის ოდენობით, 2 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი კი გეგმის 63.7%-ს შეადგენს. გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით - ხარჯები 3 თვის გეგმის 60.2%-ს შეადგენს, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელებს კვარტალური გეგმის შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლები აქვს (შესაბამისად, 42.5% და 29.2%), ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები კი მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა და 90.3%-ს შეადგენს.

[1] „საქართველოს 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2025 წლის 31 დეკემბრის N358 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის №30 ბრძანება.

შემოსულობების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)




გადასახდელების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, 2 თვეში, 276.1 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -14.0 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2022-2026 წლების 2 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2026 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,465.7 მლნ ლარი შეადგინა. იანვარ-თებერვალში მიღებული შემოსულობების და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვება 207.0 მლნ ლარს გაუტოლდა და 2026 წლის 1-ელი მარტისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,672.7 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.


საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2022-2026 წლების 2 თვეში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თებერვლის მარვენებლები

2026 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 1,983.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 1,273.6 მლნ ლარით ნაკლებია იანვრის მარვენებელზე (ძირითადად, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების შემცირების გავლენით), ხოლო წინა წლის თებერვლის მარვენებელთან შედარებით, 49.9 მლნ ლარით გაზრდილია. რაც შეეხება 2026 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა 1,884.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც იანვრის მარვენებელზე 1,264.3 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო 2025 წლის თებერვლის მარვენებელს 112.5 მლნ ლარით ჩამორჩება.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, 2024-2026 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



რაც შეეხება თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობებისა და განეული გადასახდელების კომპონენტებს:


შემოსავლების სახით 1,744.5 მლნ ლარია მიღებული (შემოსულობების 88.0%), ვალდებულებების აღების შედეგად შემოსული სახსრები 215.9 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მარვენებლები, შესაბამისად, 4.3 მლნ ლარს და 18.4 მლნ ლარს უტოლდება.


შემოსულობები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




თებერვალში განეული ხარჯების მოცულობა 1,645.8 მლნ ლარს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები 113.2 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების მარვენებლები - შესაბამისად, 10.4 მლნ ლარს და 114.8 მლნ ლარს.

გადასახდელები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)





შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც თებერვალში მიღებული მთლიანი შემოსულობების 83.0% და შემოსავლების 94.4% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა, თებერვალში, გადასახადებიდან 1,646.7 მლნ ლარი მიიღო, იანვრის მაჩვენებელზე 233.7 მლნ ლარით ნაკლები, ძირითადად, საშემოსავლო და მოგების გადასახადების მნიშვნელოვანი (შესაბამისად, 344.5 მლნ ლარით და 136.6 მლნ ლარით) კლების გავლენით. დანარჩენი გადასახადები მომატებულია: დღგ გაზრდილია 37.5 მლნ ლარით, აქციზი - 53.5 მლნ ლარით (ძირითადად, იმპორტული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის მატების გავლენით) და იმპორტის გადასახადი - 2.6 მლნ ლარით. რაც შეეხება სხვა გადასახადებს^[2] აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 153.9 მლნ ლარით და 61.8 მლნ ლარს შეადგენს.



რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი თებერვალში გაწეული მთლიანი გადასახდელების 87.3%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა თებერვალში 1,645.8 მლნ ლარი შეადგინა, წინა თვის მაჩვენებელზე 146.9 მლნ ლარით ნაკლები, რაც ძირითადად, პროცენტის მუხლით ხარჯების მნიშვნელოვან (283.5 მლნ ლარით), აგრეთვე, სხვა ხარჯების (6.3 მლნ ლარით) შემცირებას უკავშირდება. ყველა დანარჩენი სახის ხარჯი გაზრდილია, კერძოდ: სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები მომატებულია 95.3 მლნ ლარით, გრანტები - 6.9 მლნ ლარით, სუბსიდიები - 6.1 მლნ ლარით, ხოლო შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების ხარჯები - შესაბამისად, 16.7 მლნ ლარით და 17.9 მლნ ლარით.


რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2026 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 98.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -10.2 მლნ ლარი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ თებერვალში მიღებული შემოსულობებისა (1,983.1 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (1,884.2 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილებამ (დაგროვებამ) 98.9 მლნ ლარი შეადგინა.

[2] 2016 წელს სახაზინო კოდეხის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2026 წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 5,239.7 მლნ ლარს შეადგენს. შემოსულობების ფორმირება ძირითადად, შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის კომპონენტების ხარჯზე განხორციელდა, რომელთა წილობრივი მაჩვენებლებიც შემოსულობების შესაბამისად, 70.9%-ს და 27.8%-ს უტოლდება. შემოსავლები, 2024-2025 წლების მაჩვენებლებთან შედარებით, ნომინალურ გამოხატულებაში, გაზრდილია, თუმცა მისი წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობებში შემცირებულია. ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი გაზრდილია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე წილობრივად შემოსულობებში, რაც 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების რეფინანსირებისათვის, მიმდინარე წლის იანვარში 1,331.9 მლნ ლარით ვალდებულებების ზრდას უკავშირდება. რაც შეეხება არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტებს, მათი ჯამური წილი შემოსულობებში 1.3%-ს შეადგენს (2024-2025 წლების ანალოგიურ პერიოდში, შესაბამისად, 4.0%-ს და 3.8%-ს უტოლდება).




შემოსავლების სახით, 2 თვეში, 3,714.6 მლნ ლარია მიღებული, 3 თვის გეგმის 63.1% და წლიური გეგმის 14.9%, წინა წლის მაჩვენებელზე 79.6 მლნ ლარით (2.2%-ით) მეტი. რაც შეეხება 3 თვის გეგმის შესრულებას კომპონენტების მიხედვით, გადასახადებს კარგი მაჩვენებელი აქვს, სხვა შემოსავლები მაღალი შესრულებით გამოირჩევა, გრანტები კი შესრულების დაბალი დონით ხასიათდება.

იანვარ-თებერვალში მიღებული გადასახადები 3,527.1 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 63.4%-ს და წლიური გეგმის 15.2%-ს შეადგენს. გადასახადების მნიშვნელოვანი ნაწილი, 40.5% (1,430.1 მლნ ლარი) საშემოსავლო გადასახადზე მოდის. ცალკეული სახის გადასახადის 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 46.0% - 70.5%-ის ფარგლებშია (მ.შ. საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, მისი 3 თვის საგეგმო მაჩვენებელი 20.0 მლნ ლარია, ფაქტობრივად კი (-30.3) მლნ ლარს შეადგენს. წინა წლის 2 თვის მაჩვენებელთან შედარებით, გადასახადები 61.2 მლნ ლარით (1.8%-ით) გაზრდილია, რაც ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის 13.5%-იან და დღგ-ის 8.3%-იან ზრდას უკავშირდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 147.5 მლნ ლარით (13.7%-ით) ზრდას უკავშირდება. დღგ-ის სახით, 2 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტში 1,370.9 მლნ ლარი ჩაირიცხა, წინა წელთან შედარებით 105.2 მლნ ლარით (8.3%-ით) მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან დღგ 98.6 მლნ ლარით გაზრდილია, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან კი - 6.6 მლნ ლარით). აქციზი, წინა წელთან შედარებით, 16.5%-ით (42.7 მლნ ლარით) მომატებულია, იმპორტული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის მატების გავლენით.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2025-2026 წლების 2 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების მოცულობა იანვარ-თებერვალში 9.2 მლნ ლარია, რაც 3 თვის გეგმის 8.2%-ს და წლიური გეგმის 2.6%-ს შეადგენს. მ.შ. საინვესტიციო გრანტები 4.0 მლნ ლარს და ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით მიღებული შემოსავალი 0.1 მლნ ლარს უტოლდება. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 5.2 მლნ ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლებს სახით, 2 თვეში, ბიუჯეტში მობილიზებულია 178.4 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 85.0% და წლიური გეგმის 12.3%. სხვა შემოსავლები წინა წლის მაჩვენებელს 24.7 მლნ ლარით (16.1%-ით) აღემატება, რაც ძირითადად, ჯარიმებიდან, აგრეთვე, საკუთრებიდან რენტის სახით მიღებული შემოსავლების ზრდას უკავშირდება (შესაბამისად, 20.8 მლნ ლარით და 18.5 მლნ ლარით). სხვა შემოსავლის ძირითადი ნაწილი (41.2%), შემოსულია საკუთრებიდან (73.5 მლნ ლარის ოდენობით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (28.6%, 51.0 მლნ ლარის ოდენობით).

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (8.5 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 21.4%-ს და წლიური გეგმის 4.3%-ს შეადგენს, წინა წლის მაჩვენებელზე კი 8.9 მლნ ლარით (51.0%-ით) ნაკლებია. აღნიშნული შემოსულობების უდიდესი ნაწილი, 98.8%, 8.4 მლნ ლარის ოდენობით, არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან, კერძოდ, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან არის მიღებული (წინა წლის იანვარ-თებერვალში მოცემული შემოსულობები 17.4 მლნ ლარს შეადგენდა), ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან კი 0.1 მლნ ლარია შემოსული.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები, 3 თვის გეგმის მიმართ, მაღალი, 95.5%-იანი შესრულებით გამოირჩევა და 62.1 მლნ ლარს შეადგენს (წლიური გეგმის 12.4%), თუმცა წინა წლის მაჩვენებელს 81.4 მლნ ლარით (56.7 %-ით) ჩამორჩება.


ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, (1,454.5 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის მიმართ, ასევე, მაღალი, 82.5%-იანი შესრულებით ხასიათდება (წლიური გეგმის 28.7%), რაც 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების რეფინანსირებისათვის, მიმდინარე წლის იანვარში ვალდებულებების ზრდას უკავშირდება, კერძოდ, 2026 წელს დასაფარი ევრობონდების რეფინანსირების მიზნით, ახალი ევრობონდების გამოშვებით საგარეო ვალდებულებების აღების შედეგად, ბიუჯეტში მიღებულია 1,331.9 მლნ ლარი (წლიური გეგმის 98.7%). გარდა ამისა, საინვესტიციო კრედიტების სახით ბიუჯეტში შემოსულია 88.1 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 48.5%). რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით შემოსულობებს, 2 თვეში, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 34.5 მლნ ლარი შეადგინა.

	2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების ზრდა	1,454.5	82.5%	28.7%
საშინაო	34.5	14.9%	1.9%
საგარეო	1,420.0	92.7%	43.5%
ევრობონდები	1,331.9	98.7%	98.7%
საბიუჯეტო კრედიტები	0.0		0.0%
საინვესტიციო კრედიტები	88.1	48.5%	6.9%

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2026 წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 5,032.7 მლნ ლარი შეადგინა. ყველაზე დიდი წილი, 68.3%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, 2024-2025 წლებთან შედარებით, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია, ხოლო წილობრივად გადასახდელებში - შემცირებული. კერძოდ: 2024 წლის იანვარ-თებერვალში, ხარჯების წილი გადასახდელებში 78.3%-ს შეადგენდა, ხოლო 2025 წლის იანვარ-თებერვალში - 80.1%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს (არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას), 2026 წლის იანვარ-თებერვალში, მთლიან გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის წილობრივმა მაჩვენებელმა 5.9% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელმა - 0.5% და ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა - 25.3%, რომელიც როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში, 2024-2025 წლებთან შედარებით, გაზრდილია. 2025 წლის იანვარ-თებერვალში, ზემოაღნიშნული კომპონენტების წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო, შესაბამისად, 11.9%-ის, 2.9%-ის და 5.1%-ის ოდენობებით, ხოლო, 2024 წლის იანვარ-თებერვალში - 16.4%-ის, 0.5%-ის და 4.7%-ის ოდენობებით.


სახელმწიფო ბიუჯეტის 2 თვის გადასახდელების კომპონენტები (მლნ ლარი)



მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, ხარჯებმა 3,438.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3 თვის გეგმის 60.2% და წლიური გეგმის 14.8%-ია. 3 თვის გეგმასთან მიმართებით, პროცენტის მუხლი შესრულების მაღალი მაჩვენებლით (74.5%) გამოირჩევა, სოციალური უზრუნველყოფის (65.4%), შრომის ანაზღაურების (60.8%) და სხვა ხარჯების (57.8%) მუხლები შესრულების კარგი მაჩვენებლით ხასიათდება, ხოლო საქონლისა და მომსახურების (49.7%), სუბსიდიების (46.0%) და გრანტების (34.9%) მუხლები შესრულების შედარებით დაბალი დონით განისაზღვრა. ხარჯების მოცულობა, 2025 წლის 2 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 11.2 მლნ ლარით (0.3%-ით) გაზრდილია, რაც ძირითადად დაკავშირებულია სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯების მნიშვნელოვან (121.6 მლნ ლარით) ზრდასთან.


პროცენტის მუხლით გაწეული ხარჯების მთლიანი მოცულობიდან (445.9 მლნ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიძღრათა 316.2 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 129.6 მლნ ლარი. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას (1,525.3 მლნ ლარი), აღნიშნული ხარჯების დიდი წილი გაიწია მოსახლეობის სოციალური დაცვისა (1,127.2 მლნ ლარი) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (276.0 მლნ ლარი), აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების (105.0 მლნ ლარი) პროგრამების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2025-2026 წლების 2 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (298.7 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 42.5%-ს და წლიური გეგმის 7.4%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (138.6 მლნ ლარი) და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (73.0 მლნ ლარი) მიიმართა. მნიშვნელოვანი თანხა დაიხარჯა, აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (33.7 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (23.0 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 29.2%-ს და წლიური გეგმის 3.5%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები გადანაწილებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე 8.1 მლნ ლარის ოდენობით), ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (1.9 მლნ ლარის ოდენობით), სოფლის მეურნეობის სამინისტროზე (0.3 მლნ ლარის ოდენობით) და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე (12.8 მლნ ლარის ოდენობით).



ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები (1,272.6 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით ხასიათდება და 3 თვის გეგმის 90.3%-ს და წლიური გეგმის 43.6%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების დაფარვასთან (1,059.7 მლნ ლარის ოდენობით).


	2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	1,272.6	90.3%	43.6%
საშინაო	0.1	0.6%	0.2%
საგარეო	1,272.5	90.9%	44.2%

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 2 თვეში გაწეული გადასახდელები მოიცავს დამატებით 1 პროგრამულ კოდს, „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 61 00), რომლის ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება, 0.1 მლნ ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, იანვარ-თებერვალში, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე 1,718.4 მლნ ლარი მიმართა, 3 თვის გეგმის 85.6% და წლიური გეგმის 36.3%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 55.1 მლნ ლარი შეადგინა (საიდანაც 15.7 მლნ ლარი კაპიტალურ ტრანსფერს წარმოადგენს, ხოლო 39.4 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს). დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე 105.0 მლნ ლარი მიმართა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ათვისებულ იქნა თანხები, შესაბამისად, 15.8 მლნ ლარის, 0.9 მლნ ლარის და 0.9 მლნ ლარის ოდენობით.

იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეულმა გადასახდელებმა 3,737.2 მლნ ლარი შეადგინა (3 თვის გეგმის 58.3% და წლიური გეგმის 13.7%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში:


2026 წლის 2 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 2 თვის გადასახდელებიდან (5,032.7 მლნ ლარი), მხარტავ დაწესებულებებზე 3,137.5 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე - 1,895.2 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 37.7%). თავის მხრივ, მხარტავი დაწესებულებების მიერ ათვისებული თანხებიდან, 2,960.7 მლნ ლარი (რაც მთლიანი გადასახდელების 58.8%-ს შეადგენს), სამინისტროების მიერ ათვისებულ სახსრებზე მოდის, ხოლო 176.8 მლნ ლარი - სხვა დანარჩენ მხარტავ დაწესებულებებზე (მთლიანი გადასახდელების 3.5%).

2026 წლის 2 თვეში გაწეული გადასახდელების სტრუქტურა (მლნ ლარი)



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2026 წლის იანვარ-თებერვალში სამინისტროების მიერ ათვისებული თანხები:

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 2 თვეში (მლნ ლარი)

დასახელება	2026 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	130.0	30.5	16.8	55.0%	12.9%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	928.6	149.6	54.5	36.5%	5.9%
საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,113.7	391.3	230.2	58.8%	7.4%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	443.2	93.7	41.6	44.4%	9.4%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	9,668.6	2,420.2	1,496.4	61.8%	15.5%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	225.0	58.3	39.5	67.7%	17.6%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,890.0	549.9	292.2	53.1%	15.5%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,547.0	359.3	223.5	62.2%	14.4%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808.2	188.5	71.5	37.9%	8.8%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2,702.2	675.1	395.7	58.6%	14.6%
საქართველოს კულტურის სამინისტრო	364.8	88.7	31.9	36.0%	8.7%
საქართველოს სპორტის სამინისტრო	325.3	98.5	50.9	51.7%	15.6%
საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო	132.9	33.5	16.0	47.8%	12.1%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 16.8 მლნ ლარი აითვისა, რაც წლიური გეგმის (130.0 მლნ ლარი) 12.9%-ს და 3 თვის გეგმის (30.5 მლნ ლარი) 55.0%-ს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროს, 2026 წლის იანვარ-თებერვალში გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი აღემატება 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ხოლო ჩამორჩება 2025 წლის მაჩვენებელს.




მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების მაჩვენებელი 54.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (928.6 მლნ ლარი) 5.9% და 3 თვის გეგმის (149.6 მლნ ლარი) 36.5%-ია.

სამინისტროს აღნიშნული გადასახდელები (54.5 მლნ ლარი) 2024-2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებზე ნაკლებია, ხოლო 2023 წლის მაჩვენებელს აღემატება.

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, 2026 წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 230.2 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (3,113.7 მლნ ლარი) 7.4%-ს და 3 თვის გეგმის (391.3 მლნ ლარი) 58.8%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 16.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (132.9 მლნ ლარი) 12.1% და 3 თვის გეგმის (33.5 მლნ ლარი) 47.8%-ია.

რეგიონული განვითარების სამინისტროს და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 41.6 მლნ ლარს შეადგენს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (443.2 მლნ ლარი) 9.4%-ს და 3 თვის გეგმის (93.7 მლნ ლარი) 44.4%-ს უტოლდება.

იუსტიციის სამინისტროს, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში გადასახდელები (41.6 მლნ ლარი), 2023-2025 წლების ანალოგიური პერიოდის მარჯვენებლეთან შედარებით, შემცირებულია.


2026 წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების თითქმის მესამედი (29.7%), 1,496.4 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე მოდის, რაც სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური გეგმის (9,668.6 მლნ ლარი) 15.5%-ს და 3 თვის გეგმის (2,420.2 მლნ ლარი) 61.8%-ს შეადგენს.

სამინისტროს გადასახდელები, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (1,496.4 მლნ ლარი), 2023-2025 წლების ანალოგიურ მარჯვენებლეთან შედარებით, მომატებულია.


საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2026 წლის იანვარ-თებერვალში ათვისებული ასიგნებები 39.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (225.0 მლნ ლარი) 17.6%-ს და 3 თვის გეგმის (58.3 მლნ ლარი) 67.7%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები (39.5 მლნ ლარი), 2023-2025 წლების საანგარიშო პერიოდის მარჯვენებლეთან შედარებით, გაზრდილია.


იუსტიციის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მარჯვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მარჯვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მარჯვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 2 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 292.2 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (1,890.0 მლნ ლარი) 15.5%-ს და 3 თვის გეგმის (549.9 მლნ ლარი) 53.1%-ს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს, 2026 წლის იანვარ-თებერვლის გადასახდელები (292.2 მლნ ლარი) 2024-2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჩამორჩება, ხოლო 2023 წლის მაჩვენებელს აღემატება.

თავდაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2026 წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 223.5 მლნ ლარი აითვისა, რაც სამინისტროს ასიგნებების წლიური გეგმის (1,547.0 მლნ ლარი) 14.4%-ს და 3 თვის გეგმის (359.3 მლნ ლარი) 62.2%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, მიმდინარე წლის 2 თვის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა (223.5 მლნ ლარი), 2023-2025 წლების ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით, მომატებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 71.5 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (808.2 მლნ ლარი) 8.8%-ს და 3 თვის გეგმის (188.5 მლნ ლარი) 37.9%-ს უტოლდება.

მოცემული სამინისტროს, 2026 წლის 2 თვის გადასახდელები (71.5 მლნ ლარი), 2023-2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით შემცირებულია.

გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების 2 თვის მაჩვენებელი 395.7 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (2,702.2 მლნ ლარი) 14.6%-ს და 3 თვის გეგმის (675.1 მლნ ლარი) 58.6%-ს შეადგენს.

2026 წლის საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს გადასახდელები (395.7 მლნ ლარი), 2024-2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჩამორჩება, ხოლო 2023 წლის მაჩვენებელს აღემატება.

განათლების სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, 2026 წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 31.9 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (364.8 მლნ ლარი) 8.7%-ს და 3 თვის გეგმის (88.7 მლნ ლარი) 36.0%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს სპორტის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 50.9 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (325.3 მლნ ლარი) 15.6% და 3 თვის გეგმის (98.5 მლნ ლარი) 51.7%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მოხდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფა და ჩამოყალიბდა 2 სამინისტრო - კულტურის სამინისტრო და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მიერ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების ჯამური სიდიდე (82.8 მლნ ლარი) 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება. ასევე, სპორტის სამინისტროს 2026 წლის მაჩვენებელი (50.9 მლნ ლარი) აღემატება 2025 წლის ანალოგიურ მონაცემს (47.2 მლნ ლარს), ხოლო კულტურის სამინისტროს 2026 წლის მაჩვენებელი (31.9 მლნ ლარი) აღემატება 2025 წლის ანალოგიურ მონაცემს (26.1 მლნ ლარს).

კულტურის სამინისტროსა და სპორტის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 2 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 2 თვის ფაქტი	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა*	2026 წლის 2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 2 თვის ფაქტთან
შემოსულობები	4,251.2	30,759.4	7,757.1	5,239.7	67.5%	17.0%	23.3%
შემოსავლები	3,635.0	24,996.3	5,889.3	3,714.6	63.1%	14.9%	2.2%
გადასახადები	3,465.9	23,200.0	5,567.0	3,527.1	63.4%	15.2%	1.8%
საშემოსავლო გადასახადი	1,259.9	8,221.0	2,030.0	1,430.1	70.5%	17.4%	13.5%
მოგების გადასახადი	397.5	3,200.0	945.0	434.3	46.0%	13.6%	9.2%
დღგ	1,265.7	8,744.0	2,020.0	1,370.9	67.9%	15.7%	8.3%
აქციზი	258.1	2,700.0	520.0	300.8	57.8%	11.1%	16.5%
იმპორტის გადასახადი	19.5	150.0	32.0	21.3	66.7%	14.2%	9.3%
სხვა გადასახადები	265.2	185.0	20.0	-30.3	-151.6%	-16.4%	-111.4%
გრანტები	15.5	346.3	112.4	9.2	8.2%	2.6%	-40.8%
სხვა შემოსავლები	153.6	1,450.0	209.9	178.4	85.0%	12.3%	16.1%
არაფინანსური აქტივების კლება	17.4	200.0	40.0	8.5	21.4%	4.3%	-51.0%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	143.5	500.0	65.0	62.1	95.5%	12.4%	-56.7%
გაღდებულებების ზრდა	455.3	5,063.1	1,762.7	1,454.5	82.5%	28.7%	219.5%
საშინაო	370.8	1,800.0	231.0	34.5	14.9%	1.9%	-90.7%
საგარეო	84.5	3,263.1	1,531.7	1,420.0	92.7%	43.5%	1581.0%
გადასახდელები	4,276.2	30,881.4	7,903.2	5,032.7	63.7%	16.3%	17.7%
ხარჯები	3,427.3	23,267.6	5,712.4	3,438.5	60.2%	14.8%	0.3%
შრომის ანაზღაურება	452.1	3,420.3	821.0	498.8	60.8%	14.6%	10.3%
საქონელი და მომსახურება	315.5	2,681.5	651.0	323.5	49.7%	12.1%	2.5%
პროცენტი	476.7	1,818.0	598.8	445.9	74.5%	24.5%	-6.5%
სუბსიდიები	128.0	1,047.3	267.0	122.9	46.0%	11.7%	-4.0%
გრანტები	203.4	2,032.4	344.7	120.2	34.9%	5.9%	-40.9%
სოციალური უზრუნველყოფა	1,403.8	9,324.2	2,334.1	1,525.3	65.4%	16.4%	8.7%
სხვა ხარჯები	447.9	2,944.0	695.9	402.0	57.8%	13.7%	-10.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	507.2	4,044.0	702.3	298.7	42.5%	7.4%	-41.1%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	124.1	650.0	78.7	23.0	29.2%	3.5%	-81.5%
გაღდებულებების კლება	217.6	2,919.8	1,409.8	1,272.6	90.3%	43.6%	484.8%
საშინაო	0.1	40.1	10.1	0.1	0.6%	0.2%	15.1%
საგარეო	217.5	2,879.7	1,399.7	1,272.5	90.9%	44.2%	484.9%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	-25.0	-122.0	-146.2	207.0			

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანება №30)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 2 თვის ფაქტი	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 2 თვის ფაქტთან
შემოსავლები	3,635.0	24,996.3	5,889.3	3,714.6	63.1%	14.9%	2.2%
გადასახადები	3,465.9	23,200.0	5,567.0	3,527.1	63.4%	15.2%	1.8%
გრანტები	15.5	346.3	112.4	9.2	8.2%	2.6%	-40.8%
სხვა შემოსავლები	153.6	1,450.0	209.9	178.4	85.0%	12.3%	16.1%
ხარჯები	3,427.3	23,267.6	5,712.4	3,438.5	60.2%	14.8%	0.3%
შრომის ანაზღაურება	452.1	3,420.3	821.0	498.8	60.8%	14.6%	10.3%
საქონელი და მომსახურება	315.5	2,681.5	651.0	323.5	49.7%	12.1%	2.5%
პროცენტი	476.7	1,818.0	598.8	445.9	74.5%	24.5%	-6.5%
სუბსიდიები	128.0	1,047.3	267.0	122.9	46.0%	11.7%	-4.0%
გრანტები	203.4	2,032.4	344.7	120.2	34.9%	5.9%	-40.9%
სოციალური უზრუნველყოფა	1,403.8	9,324.2	2,334.1	1,525.3	65.4%	16.4%	8.7%
სხვა ხარჯები	447.9	2,944.0	695.9	402.0	57.8%	13.7%	-10.3%
საოპერაციო სალდო	207.7	1,728.7	176.9	276.1	156.0%	16.0%	32.9%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	489.8	3,844.0	662.3	290.1	43.8%	7.5%	-40.8%
ზრდა	507.2	4,044.0	702.3	298.7	42.5%	7.4%	-41.1%
კლება	17.4	200.0	40.0	8.5	21.4%	4.3%	-51.0%
მთლიანი სალდო	-282.1	-2,115.3	-485.4	-14.0	2.9%	0.7%	-95.0%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-44.4	28.0	-132.4	167.9	-126.8%	598.8%	-478.3%
ზრდა	124.1	650.0	78.7	230.0	292.2%	35.4%	85.4%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	207.0			
სესხები	36.9	632.6	78.7	23.0	29.2%	3.6%	-37.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	87.1	17.5	0.0	0.0		0.0%	-100.0%
კლება	168.5	622.0	211.2	62.1	29.4%	10.0%	-63.2%
ვალუტა და დეპოზიტები	25.0	122.0	146.2	0.0	0.0%	0.0%	-100.0%
სესხები	143.5	500.0	65.0	62.1	95.5%	12.4%	-56.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0			
ვალდებულებების ცვლილება	237.7	2,143.3	352.9	182.0	51.6%	8.5%	-23.4%
ზრდა	455.3	5,063.1	1,762.7	1,454.5	82.5%	28.7%	219.5%
საშინაო	370.8	1,800.0	231.0	34.5	14.9%	1.9%	-90.7%
საგარეო	84.5	3,263.1	1,531.7	1,420.0	92.7%	43.5%	1581.0%
კლება	217.6	2,919.8	1,409.8	1,272.6	90.3%	43.6%	484.8%
საშინაო	0.1	40.1	10.1	0.1	0.6%	0.2%	15.1%
საგარეო	217.5	2,879.7	1,399.7	1,272.5	90.9%	44.2%	484.9%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0			

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
00 00	სულ ჯამი	30,881.4	7,903.2	5,032.7	63.7%	16.3%
01 00	საქართველოს პარლამენტი	91.5	25.1	11.2	44.7%	12.2%
01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდევლო საქმიანობა	35.2	8.9	4.6	51.5%	13.0%
01 02	საპარლამენტო ფრაქციების, საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფებისა და ოლქების დელეგატების ბიუროების საქმიანობა	12.1	3.0	1.5	50.7%	12.7%
01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	44.2	13.2	5.1	38.6%	11.5%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10.5	2.9	1.4	48.1%	13.1%
03 00	სსიპ – საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტი	0.9	0.2	0.1	46.1%	12.0%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	30.0	8.5	3.7	43.8%	12.4%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	40.7	10.5	3.5	33.1%	8.5%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	46.2	11.5	6.2	54.4%	13.5%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	35.4	8.7	4.6	53.1%	13.0%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.8	0.5	0.2	44.3%	12.9%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	9.0	2.2	1.4	61.8%	15.5%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	7.9	2.1	0.9	41.6%	10.9%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	22.3	6.0	3.0	50.6%	13.5%
09 00	საერთო სასამართლოები	180.3	47.3	20.7	43.8%	11.5%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	175.5	45.8	20.4	44.6%	11.7%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	4.8	1.5	0.3	16.9%	5.3%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	13.0	3.4	1.0	30.2%	7.8%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.5	0.4	0.2	58.1%	14.0%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.4	0.2	48.0%	13.2%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ქიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.5	0.4	0.2	49.7%	14.2%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.4	0.4	0.2	55.4%	14.3%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.3	0.2	58.0%	14.6%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.3	0.2	60.1%	15.9%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.2	52.3%	13.4%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.6	0.5	0.2	41.1%	13.1%
